ხშირად დასმული კითხვები

რას ნიშნავს წინასწარი შეკვეთა (პრე-ორდერი) ?

წინასწარი შეკვეთა ნიშნავს კონკრეტული პროდუქციის გამოშვებამდე მომხმარებლის მიერ მის წინასწარ შეკვეთას. წინასწარი შეკვეთის მიზანია დაინტერესებულ პირთათვის გაიზარდოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ სარეალიზაციო პროდუქციაზე ხელმისაწვდომობა.

რა ინფორმაცია იქნება ცნობილი პროდუქციის შესახებ წინასწარი შეკვეთის განთავსების დროისთვის?

წინასწარი შეკვეთების მიღების დროისთვის, შესაკვეთი პროდუქციის შესახებ გაცხადებული იქნება მხოლოდ პროდუქციის დასახელება და წინასწარ გადასახდელი თანხა, მონეტის შემთხვევაში, ასევე, შემადგენლობა და წონა. „ევრობასკეტი 2022“-ის შემდგომ გამოშვებულ მონეტებზე კი - მონეტის პირველადი ესკიზიც.

როგორი იქნება პროდუქციის ვიზუალური მხარე?

„ევრობასკეტი 2022“-ის შემთხვევაში პროდუქციის დიზაინი და დეტალური მახასიათებლები ცნობილი გახდება მისი ოფიციალურად გამოშვებისას, საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი განცხადებით. ხოლო მომავალში მომხმარებლისათვის წინასწარი შეკვეთის მომენტში ცნობილი იქნება მონეტის პირველადი ესკიზი.რომელიც წარმოების პროცესში შესაძლებელია დაიხვეწოს და მცირედით განიცადოს ცვლილება.

როგორ განვათავსო წინასწარი შეკვეთა?

წინასწარი შეკვეთის განთავსებისთვის უნდა გაიაროთ რეგისტრაცია/ავტორიზაცია საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ინტერნეტ მაღაზიის ვებ-გვერდზე, აირჩიოთ სასურველი პროდუქტი, სასურველი რაოდენობა და მიჰყვეთ შესაბამის ეტაპებს.

როგორ ხორციელდება პროდუქციის ღირებულების გადახდა წინასწარი შეკვეთის შემთხვევაში?

წინასწარი შეკვეთის განთავსებისას, მომხმარებელმა ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ინტერნეტ მაღაზიის ვებგვერდის საშუალებით უნდა გადაიხადოს პროდუქციის ღირებულების ნაწილი (50 ლარი) პლასტიკური ბარათის მეშვეობით, ხოლო პროდუქციის ღირებულების დარჩენილი ნაწილს გადაიხდის პროდუქციის გამოსვლის შემდეგ, მისი მიღებისას საკასო ცენტრში, ნაღდი ფულით ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით.

როდის მეცოდინება პროდუქციის ტირაჟი?

პროდუქციის ტირაჟი პროდუქციის ოფიციალურად გამოშვებისას, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული შესაბამისი განცხადებით გახდება ცნობილი.

წინასწარი შეკვეთის განთავსებიდან დაახლოებით რამდენ ხანში მივიღებ პროდუქციას?

წინასწარი შეკვეთის განთავსებისას ცნობილი იქნება პროდუქციის გამოსვლის მხოლოდ სავარაუდო პერიოდი. კონკრეტული თარიღი საზოგადოებას ეცნობება მოგვიანებით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული შესაბამისი განცხადებით.

შესაძლებელი იქნება პროდუქციის შეძენა წინასწარი შეკვეთის განთავსების გარეშე?

დიახ, პროდუქციის შეძენა შესაძლებელი იქნება იმ დაინტერესებულ პირთათვისაც, ვისაც არ ექნება განთავსებული წინასწარი შეკვეთა, რამდენადაც დამზადდება უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე წინასწარ შეკვეთილი რაოდენობა იქნება. თუმცა, წინასწარი შეკვეთის განთავსების შემთხვევაში, პროდუქტს გარანტირებულად მიიღებთ.

შემიძლია თუ არა შევიძინო წინასწარ შეკვეთილ რაოდენობაზე მეტი პროდუქტი მისი გამოსვლის შემდეგ?

დიახ, რადგან მომხმარებელს არ ეზღუდება შეკვეთილზე მეტი ოდენობის პროდუქტის შეძენა მისი ოფიციალურად გამოსვლის შემდეგ.

შესაძლებელია თუა არა ერთი მომხმარებლის მიერ ერთზე მეტი შეკვეთის განხორციელება?

დიახ, ეს შესაძლებელია.

რა იქნება სარეალიზაციო პროდუქციის სრული ღირებულება?

პროდუქციის სარეალიზაციო ფასი ცნობილი გახდება მხოლოდ მისი ოფიციალურად გამოშვების შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი განცხადებით.

როგორ გამოითვლება მონეტის სარეალიზაციო ფასი?

მონეტის სარეალიზაციო ფასის გამოთვლაში მონაწილეობს შემდეგი კომპონენტები: მონეტის ნომინალი, მონეტების წარმოება, დამზადებული მონეტების ხარისხის შემოწმება, მონეტების შეფუთვა და ტრანსპორტირება - მოწოდება, ასევე სარეალიზაციო ფასის გაანგარიშებისას ერთ- ერთი კომპონენტია უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსი. **რატომ არ შემიძლია პროდუქციის სრული ღირებულების წინასწარ გადახდა?**

იქიდან გამომდინარე, რომ პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, გარდა ნომინალისა, მონეტების დამზადება, შეფუთვა, შემოწმება და ტრანსპორტირება-მოწოდებაზე გაწეული ხარჯია, ასევე სარეალიზაციო ფასის გაანგარიშებისსას ერთ- ერთი კომპონენტია უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსი, სარეალიზაციო ფასის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ პროდუქციის დამზადებასთან დაკავშირებული ყველა ეტაპის დასრულების შემდგომ.

პროდუქციის სრული ღირებულების დაახლოებით რა ნაწილს ვიხდი წინასწარ? შესაძლოა რომ სრული ღირებულება ორზე მეტჯერ აღემატებოდეს წინასწარ გადახდილ თანხას?

შეკვეთის განთავსებისას მომხმარებელი მიერ წინასწარ გადასახდელი თანხა არის პროდუქციის ღირებულების დაახლოებით 50%. პროდუქციის სარელიზაციო ფასი განისაზღვრება მხოლოდ პროდუქციის დამზადების პროცესის დასრულების შემდგომ და გარდა ნომინალისა, იგი დამოკიდებული იქნება პროდუქციის დამზადება-მოწოდებისათვის გაწეულ ხარჯებზე.

რა მოხდება, თუ წინასწარი შეკვეთა განვახორციელე, მაგრამ პროდუქციის გამოსვლის შემდეგ დადგენული სრული ღირებულების გადახდა ვერ შევძელი? დამიბრუნდება თუ არა წინასწარ გადახდილი თანხა?

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი პროდუქციის გამოსვლიდან 2 თვის განმავლობაში (გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა) არ მიაკითხავს შეკვეთილ პროდუქტს საკასო ცენტრში და, შესაბამისად, არ გადაიხდის მის დარჩენილ ღირებულებას, წინასწარი შეკვეთა გაუქმდება და მომხმარებელს, მის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.

როგორ, სად და როდის მივიღებ პროდუქციას?

პროდუქციის მიღება შესაძლებელი იქნება პროდუქციის ოფიციალურად გამოსვლის შემდეგ, ეროვნული ბანკის მიერ ამისათვის გამოცხადებული პერიოდის განმავლობაში. წინასწარ შეკვეთილი პროდუქცია გაიცემა საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, პროდუქციის ღირებულების დარჩენილი ოდენობის გადახდის შემდეგ .ამასთან, ეროვნული ბანკი მუდმივად ორიენტირებულია პროდუქტის დახვეწაზე და სამომავლოდ, გამოყენებული სისტემების ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში მიწოდების სერვისის აქტივაციის შესაძლებლობასაც განიხილავს.

რა მოხდება თუ ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული პერიოდის განმავლობაში არ მივაკითხე პროდუქციას საკასო ცენტრში?

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი პროდუქციის გამოსვლიდან 2 თვის განმავლობაში (გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა) არ მიაკითხავს შეკვეთილ პროდუქციას, წინასწარი შეკვეთა გაუქმდება და მომხმარებელს, მის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.

შემიძლია წინასწარ განთავსებული შეკვეთის გაუქმება?

დიახ, მაგრამ მომხმარებლის მიერ წინასწარ განთავსებული შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში, წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება არ მოხდება.

რა შემთხვევაში შეიძლება საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააუქმოს ჩემს მიერ განთავსებული წინასწარი შეკვეთა?

წინასწარი შეკვეთა გაუქმდება და მომხმარებელს დაუბრუნდება წინასწარ გადახდილი თანხა თუ ვერ მოხერხდება შესაბამისი პროდუქციის ოფიცალური გამოშვება ან/და მოხდება გამოსაშვები პროდუქციის დამზადების თაობაზე ეროვნული ბანკის არსებული გადაწყვეტილების ცვლილება ან სხვა ობიექტური გარემოებების გამო. აღნიშნულის შემთხვევაში, გამოცემული იქნება შესაბამისი საჯარო განცხადება ან/და მოხდება მომხმარებლის ინფორმირება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

შესაძლებელია თუ არა დამატებითი მიმღები პირის განსაზღვრა, იმ შემთხვევაში თუ, ვერ ვახერხებ ჩემს მიერ შეკვეთილი პროდუქციის თავად გამოტანას საკასო ცენტრიდან.

დიახ, რადგან პროდუქციის მიღების უფლება აქვს მომხმარებელს ან მომხმარებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს, რომლის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) ეროვნულ ბანკს ეცნობება მომხმარებლის მიერ ინტერნეტ მაღაზიის ვებგვერდზე რეგისტრაციისას მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

შესაძლებელია თუ არა წინასწარ შეკვეთილი პროდუქციის მიწოდების სერვისით მიღება?

მიმდინარე ეტაპზე წინასწარ შეკვეთილი პროდუქციის მიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში. თუმცა, ეროვნული ბანკი მუდმივად ორიენტირებულია პროდუქტის დახვეწაზე და სამომავლოდ, გამოყენებული სისტემების ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში მიწოდების სერვისის აქტივაციის შესაძლებელობასაც განიხილავს.